9 მაისი დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის ძლევამოსილი გამარჯვების დღეა!

დიდება ამ დღეს!

პროლეტარეთო ქვეყანისა, შეერთდით!

ლელო

№ 90 (4600)

1972 წ. 9 მაისი, სამშაბათი.

ფასი 8 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

მშვიდობის XXV საიუბილეო

ველორბოლის გზებზე

ლიდერობა ხელთ იგდო მილდემ

მშვიდობის XXV საიუბილეო ველორბოლის სამი ეტაპის შემდეგ ლიდერობა ხელთ იგდო გდრ-ის წარმომადგენელმა, ახალგაზრდა სპორტსმენმა მ. მილდემ. ეს საპატიო „ძისტი" მან ლენინგრადელ ვ. ნელიუბინს ჩამოართვა, რომელმაც მესამე ეტაპის სტარტი ლიდერის ყვითელ მაისურში აიღო. ისიც უნდა ითქვას, რომ მესამე ეტაპის სტარტზე ყველაზე აქტიური მრბოლელის იისფერი მაისური საბჭოთა გუნდის კაპიტანს, მოსკოველ ი. დმიტრიევს ეცვა.

... მეორე ეტაპი (121 კმ) ბერლინის ქუჩებში მოეწყო. როცა ფრიდრიჰ-ლიუდვიგ იანის სტადიონზე პირველი მრბოლელები ტყვიასავით შემოიჭრნენ, ხალხით გაჭედილმა ტრიბუნებმა იქუხა. მრბოლელთა სათავეში იყო სსრ კავშირის ნაკრების დებიუტანტი ი. მოსკალიოვი, მაგრამ მას, როგორც ჩანს, გამოცდილება არ ეყო: ფინიშამდე დაახლოებით 700 მეტრი რჩებოდა, როცა 23 წლის მილდემ გაუსწრო. მესამე იყო დ. ზემანი (ჩეხოსლოვაკია). ამ ტრიომ სათანადო პრემია მიიღო: I ადგილზე გასულმა — წუთი, II ადგილზე გასულმა — 30 წამი, მესამეზე — 15 წამი.

ერთნაირი დრო — 2:40.10 — ჩაიწერა თითქმის ყველა დანარჩენი მრბოლელის „პირად ანგარიშებში". ველოსიპედისტები მართლაც ძალიან მჭიდრო ჯგუფად მიიწევდნენ წინ და მხოლოდ საშუალედო ფინიშის მისადგომებთან მწვავდებოდა ბრძოლა. პირველი საშუალედო ფინიში (68-ე კილომეტრზე) დმიტრიევმა მოიგო, რომელიც მესამე იყო მეორე საშუალედო ფინიშზე (102-ე კმ). ამის საფასურად მას აქტიურობისთვის 6 ქულა ეობოძა და შესაბამისად 6 პრემიალური წამი — გუნდის ყულაბაში და პირად ჩათვლაში.

... მესამე ეტაპი: ბერლინი — მაგდებურგი. 23 წლის ბერლინელმა მექანიკოსმა მილდემ მაგდებურგის სტადიონზე შეკრებილი 45 ათასი მაყურებლის მჭუხარე ტაშის თანხლებით პირველმა გადაკვეთა მესამე ეტაპის ფინიშის ხაზი. მკვეთრმა სპურტმა ბოლო 200 მეტრზე დებიუტანტს ზედიზედ მეორე ეტაპი მოაგებინა. მილდემ 163 კმ 3 საათში, 36 წუთსა და 35 წამში გადალახა (ერთი საბონიფიკაციო წუთით). ამავე შედეგით მეორე იყო იტალიელი ფ. ბალარდინი, მესამე — ვ. მორავეცი (ჩესოსლოვაკია). საბჭოთა მრბოლელებიდან საუკეთესონი აღმოჩნდნენ კიშინიოველი ი. მოსკალიოვი და დმიტრიევი, რომელთაც IX და X ადგილები დაიკავეს. დანარჩენები ფინიშთან თითქმის ერთ მჭიდრო ჯგუფად მივიდნენ.

ბრძოლა უაღრესად დაძაბული იყო. 25 და 70-კილომეტრიანი მონაკვეთები პირველებმა რ. კუბრიკმა (იუგოსლავია) და კუბელმა რ. ვასკომ გაიარეს, მაგრამ 9 კმ-ის შემდეგ მათ ჯგუფი წამოეწია. მეორედ, სტარტიდან უკვე დაახლოებით 100 კილომეტრში, 16-კაციანი ჯგუფი დაწინაურდა. ისინი წუთით უსწრებდნენ მეტოქეებს. ფინიშამდე 12 კმ რომ დარჩა, წინ წასულებს მდევრები წამოეწივნენ. მერე კი, როგორც მოგახსენეთ, ყველას მილდემ აჯობა.

მილდე მესამე წელია საგზატკეცილო ველორბოლაში მონაწილეობს. მანამდე იგი ტრეკზე გამოდიოდა, სადაც საბოლოო ჯამში 130 გამარჯვება აქვს მოპოვებული. მისი წარმატებისა და პრემიალური წუთების წყალობით გუნდურ ჩათვლაშიც გდრ-ის ნაკრები ლიდერობს — 19:26.40. საბჭოთა გუნდის დრო 19:27.46. III ადგილზე არიან უნგრელი ველოსიპედისტები — 19:28.07. შარშანდელი ველორბოლის მეორე პრიზიორები — პოლონელი სპორტსმენები VII ადგილზე არიან — 19:29.30. მესამე ეტაპზე ბრძოლას გამოეთიშა ერთ-ერთი უძლიერესი პოლონელი მრბოლელი ზ. ხანუშჩიკი.

პირად ჩათვლაში ლიდერობს მილდე — 6:27.57. II ადგილზეა ნელიუბინი — 6:28.48, III — უნგრელი ა. ტაკაში — 6:28.51.

უძლიერესთა ოცეულში მოხვდნენ შემდეგი საბჭოთა სპორტსმენები: მოსკალიოვი — IV ადგილი — 6:29.16, დმიტრიევი — XII — 6:29.42, ნ. გორელოვი (მოსკოვის ოლქი) — XIII — 6:29.44.

ჭადრაკის მოყვარულთა საყურადღებოდ!

მსოფლიო ჩემპიონობაზე ნ. გაფრიხდაშვილ — ბ. კუშნირის მატჩის პარტიები ნაჩვენები იქნება იმავე დღეს კიროვის სახელობის პარკის კალათბურთის მოედანზე. პარტიებს კომენტარს გაუკეთებენ დიდოსტატები ბ. გურგენიძე, ე. გუფელდი და რესპუბლიკის მოწინავე ოსტატები.

დასაწყისი 19 ს. და 30 წ.

ფიშერის თანხმობა

ფიდე-მ გამოაცხადა, რომ ამერიკელი დიდოსტატი რობერტ ფიშერი თანახმაა მსოფლიო პირველობაზე მატჩი ბორის სპასკისთან ისლანდიის დედაქალაქ რეიკიავიკში ითამაშოს.

24 პარტიისგან შემდგარი ეს მატჩი 2 ივლისს უნდა დაიწყოს.

ახალი კომპლექსის ნაბიჯები

კომკავშირელები — პირველნი

ცხაკაიას რაიონში წარმატებით დაიწყო ახალი საკავშირო ფიზკულტურული კომპლექსის ნორმატივების ჩაბარება.

სარბიელზე პირველნი კომკავშირელები გავიდნენ, ტყვიის სროლაში 202 ფიზკულტურელი ჩაება. ვაჟთა შორის 1 ადგილი დაიკავა ახალსენაკის დაფნის საბჭოთა მეურნეობის კომკავშირის კომიტეტის მდივანმა ნ. გვასალიამ. ქალთა შორის ყველას აჯობა კოტიანეთის შევენახეობის საბჭოთა მეურნეობის ავტომანქანების დისპეტჩერმა მ. გრიგოლიამ.

სროლაში ნორმატივების ჩასაბარებლად 93 წვეულებელი გამოვიდა, მიზანს კი 88 კაცმა მიაღწია.

აგროტექნიკუმის სპორტულ მოედანზე ახალი კომპლექსის პროგრამით გაიმართა შეჯიბრებები ბირთვის კვრაში, სიმაღლეზე და სიგრძეზე ხტომაში, 100 მეტრზე რბენაში. სარბიელზე გამოვიდა 300-ზე მეტი კომკავშირელი. ნორმატივები ბევრმა ჩააბარა.

ე. გუგუნავა.

(ჩვენი კორ.).

ცხაკაია.

„ურალმაში" პატაკს აბარებს

„ურალმაშის" სპორტული დიდება ურალელ მანქანათმშენებელთა სასახელო შრომითს წარმატებებს როდი ჩამოუვარდება. ამ სპორტული კლუბის რიგებში 20 ათასამდე ფიზკულტურელია, რომელთა შორის ბევრი სპორტის ოსტატი და თანრიგოსანი სპორტსმენი გახლავთ. „ურალმაშის" ფეხბურთელთა და კალათბურთელთა გუნდები „ა" კლასში გამოდიან. მათ მხარს უბამენ მძლეოსნები, მოცურავეები, ტანმოვარჯიშეები.

ქარხნის ფიზკულტურელთა განკარგულებაშია საკუთარი სტადიონი, საცურაო აუზი, ტირი, სამი სპორტული დარბაზი, ორი საცეკვაო, მონადირისა და მეთევზის სახლები.

ურალმაშელებმა ბევრი რამ გააკეთეს „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირს დაცვისთვის" ახალი საკავშირო ფიზკულტურული კომპლექსის დასაბარებლად. ამას წინათ მათი მუშაობის შედეგები ეოისმნა ახალი კომპლექსის საკავშირო საბჭომ თავის სხდომაზე, რომელიც პოსკოვში ჩატარდა სსრ კავშირის მფრინავი-კოსმონავტის, საბჭოთა კავშირის გმირ ა ლეონოვის თავმჯდომარეობით.

— „ურალმაშის" ყოველ საამქროში უკვე შეიქმნა ახალი კომპლექსის კომისიები, რომელთაც საამქროს უფროსები და მათი მოადგილეები ხელმძღვანელობენ, — თქვა სპორტკლუბის თავმჯდომარემ ა. ვოლინკინმა. — კომისიების შემადგენლობაში შედიან პარტიული და კომკავშირული მუშაკები, ქარხკომის წარმომადგენლები. ჩამოყალიბდა მსაჯთა კოლეგია — 69 კაცი. „ურალმაშის" ათასობით მუშაკმა უკვე ჩაბარა ახალი კომპლექსის ნორმატივები სათხილამურო სპორტში, ცურვაში, სროლაში. ყველა შეჯიბრებას ესწრებიან საზოგადოებრივი ინსტრუქტორები და სპორტკლუბის ექიმები. შეჯიბრებები ტარდება საზეიმოდ მოწყობილ ბაზებზე, რომელთაც თავად სპორტსმენები, ქარხნის კომკავშირისა და პროფკავშირის მუშაკები ემსახურებიან. მაგრამ ჯერჯერობით ნაკლიც საგრძნობია. მაგალითად, ახალ კომპლექსს ფართო პროპაგანდა უნდა გავუწიოთ მშრომელთა საცხოვრებელ ადგილებშიც. ნორმატივები ქალაქგარე დასვენების ადგილებში, პიონერთა ბანაკებშიც უნდა ბარდებოდეს.

პრესის, რადიოსა და ტელევიზიის საშუალებით კომპლექსის პოპულარიზაციის საკითხზე, საინტიტაციო მასალების გამოცემაზე ილაპარაკეს სსრ კავშირის სპორტკომიტეტის პროპაგანდის გასაყოფილების გამგემ ა. ვალიახმეტოვმა და გამომცემლობა „ფიზკულტურა ი სპორტის" დირექტორმა მ. შიშიგინმა.

სხდომაზე აღინიშნა, რომ კომპლექსისადმი მიძღვნილი ბროშურები, პლაკატები და დამხმარე სასელმძღვანელოები ჯერჯერობით ნაკლებად გამოდის. პროპაგანდამ ჯერ ვერ მიაღწია სათანადო დონეს, საუკეთესოთა გამოცდილება ყველასთვის ხელმისაწვდომი არ არის, ახალი კომპლექსი კი საბჭოთა ხალხის ფიზიკური სრულყოფისა და მტკიცე ჯანმრთელობის საფუძველია.

სტარტები ქარხნის სტადიონზე

დონეცკის მეტალურგიული ქარხნის სპორტკლუბ „სტალეგარში" „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის" ახალ საკავშირო ფიზკულტურულ კომპლექსს ფართო პროპაგანდას უწევენ. ქარხნის დირექტორის განკარგულებით შეიქმნა კომპლექსის ნორმატივების მიმღები სპეციალური კომისია. საამქროებში, სამუშაო ბრიგადებში ახალ კომპლექსს საგანგებო საუბრები და სერიები მიეძღვნა. ქარხნის მრავალტირაჟიანი გაზეთი „მეტალურგი" თითქმის ყოველ ნომერში ბეჭდავს ამ საყოველთაო საქმისადმი მიძღვნილ მასალებს. ქარხნის ექვსი ათასი მუშაკი სპორტს ნაზიარებია და მათგან უმეტესობა ჩაება ახალი კომპლექსის ფერხულში. უკვე ჩატარდა შეჯიბრებები რბენაში, სიგრძეზე და სიმაღლეზე ხტომაში, ხელყუმბარის ტყორცნასა და სროლაში. ახალგაზრდობასთან ერთად სტადიონზე, სპორტდარბაზში, სასროლო ტირში გამოდიან ვეტერანებიც, ვისაც 30-ანი წლების კომპლექსის სამკერდე ნიშნებიც აქვს.

„სტალეგარი" კარგი ბაზის პატრონია და მისი ყველა ქვედანაყოფის მუშაობა წუთობითაა გაანგარიშებული. ქარხნის მუშა-მოსამსახურეები სპორტის 20 სახეობას მისდევენ. კვირაში სამი დღე ახალი კომპლექსის ნორმატივების ჩაბარებას ეძღვნება. კომისია გამოცდებს მარტო ქარხნის მშრომელებისგან როდი იბარებს, აქ ნორმატივების ჩასაბარებლად მთელი ლენინის რაიონის მცხოვრებნი მოდიან.

სპორტკლუბს „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის" კომპლექსის მეთოდისტის შტატი აქვს. მეთოდისტს მოხალისეთა უზარმაზარი არმია ეხმარება.

ი. დიაჩკოვა.

დონეცკი.



ლალესტანი ოდითგანვე განთქმულია მხედრებითა და ბედაურებით. საბჭოთა მეურნეობა „გუბდენსკში" ახლახან საცხენოსნო-სპორტული სკოლა გაიხსნა. ამ ლამაზ სახეობას აქ 500 ჭაბუკი და ქალიშვილი ეუფლება. წლეულს სკოლის აღსაზრდელები პირველად ცდიან ძალას სპორტულ შეჯიბრებაში.

სურათზე: ნ. კონდრაშოვი ბედაურ არსლანით.

რ. დიკის ფოტო (საკ-დესი).

სპორტლოტოში

9 მაისი გამარჯვების დღეა

საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის ბიბლიოთეკა

სიტყვა ჩემს მეგობრებზე

ყოველთვის, როცა 9 მაისის დღესასწაული ახლოვდება, უნებურად ვფიქრობ იმ ადამიანებზე, რომელთა გვერდითაც აგერ უკვე მეოთხედი საუკუნეა ვმუშაობ. ჩვენ ერთმანეთთან გვაკავშირებს ფრონტი, ომი, მოწინავე ხაზზე თუ ზურგში გადატანილი ბევრი გაჭირვების წუთი, ომის შემდგომი, აღდგენის მძიმე დღეები. ამ ქარცეცხლს ბევრი ვერ გადაურჩა, ბევრმა სიკვდილის ბანაკების ჯოჯოხეთიც გამოიარა და რაღაც სასწაულით დარჩა ცოცხალი, ზოგმა ნახევარი სიცოცხლის ფასად დაამტკიცა თავისი ერთგულება და პატიოსნება, შეინარჩუნა ორდენები და მედლები, არ შეეწირა გულგრილობისა და დაუდევრობის ბახვილს.

ეს ჩემი მეგობრები სულ სხვადასხვა გზით დაუკავშირდნენ სპორტს. ისინი, ისევე როგორც არმიაში, არც ახლა ეძებენ მაღალ თანამდებობებსა და ჩინ-მედლებს, მაგრამ თითოეულ მათგანს ამოქმედებს ერთი მიზანი: ემსახუროს საბჭოთა სპორტს, იზრუნოს საბჭოთა ადამიანების ფიზიკური გაკაჟებისთვის.

... ჩვენ იშვიათად ვხვდებით ერთმანეთს — შეჯიბრებებზე, კონფერენციებზე, პლენუმებზე, სემინარებზე, მაგრამ მეგობარს მეგობარი განა ოდესმე დაავიწყდება?

ისინი ძალიან განსხვავდებიან ხასიათით. მშვიდია, აუღელვებელი და საქმიანი ქუთაისელი ვახტანგ მიქაძე; ფიცხი და პუნქტუალური იური რუხაძე; მუდამ გამოწკეპილი, დახვეწილი და ელეგანტური ყველაზე უფროსი — ვლადიმერ გედევანიშვილი; სწრაფი და ცოცხალი, მუდამ მხიარული კომპანიის, სიმღერისა და ცეკვის დამფასებელი, მაგრამ საოცრად ერომისმოყვარე გიგა დვალი. აქვე უნდა დავასახელოთ „ზომიერი“, დინჯი, თავშეკავებული, ჭაღარაშეპარული და ორდენებით მკერდდამშვენებული „თაობა“, მარცხის სიმწარეც რომ იცის და გამარჯვების სიხარულიც: ბორის საგჩენკო, ვახტანგ ნიშნიანიძე, ვასილი გუტნიკი, რაჩიკ მამაჯანოვი, საშა ტიმოფეევი... ყველას ხომ ვერ ჩამოვთვლი!

ორი ორდენი და რამდენიმე მედალი უმშვენებს მკერდს ვლადიმერ გედევანიშვილს. ყველამ როდი იცის, რომ დიდ სამამულო ომში, ქერჩის მისადგომებთან გაჩაღებული მძიმე ბრძოლის დროს ოფიცერ გედევანიშვილს ზღვის ყინულიანი ცივი ტალღებიდან ღუზის ჯაჭვით გამოყავდა თანამემამულენი. მარტო ფიზიკურად საუცხოოდ ნაწრთობ სპორტსმენს შეეძლო ეს.

სამოცდაათ წელს მიტანებული ვლადიმერი დღესაც ახალგაზრდულად ენერგიულია, ტანადი, მოძრავი, სიცოცხლით სავსე. შეიძლება ამიტომაც უყვართ ასე თავიანთი ინსტრუქტორი ფეხსაცმლის № 1 ფაბრიკა „ისნის“ ფიზკულტურელებს.

... ფრონტის მძიმე გზა გაიარა მოკრივემ, საქართველოს ომამდელი ნაკრების წევრმა ვახტანგ მიქაძემ. ახლა მას მკერდს წითელი ვარსკვლავის ორდენი და ათამდე მედალი უმშვენებს. ბედი მკაცრად ექცეოდა ვახტანგს, მაგრამ არც იუმორის გრძნობა დაუკარგავს, არც ოპტიმიზმი, არც მეგობრებისა და ამხანაგის სიყვარული. ვახტანგი დღესაც ხარს მოკლავს მუშტის ერთი დაკვრით, მაგრამ მოჩხუბარი თავის დღეში არავის უნახავს.

ვახტანგ მიქაძე ქუთაისის აბრეშუმის კომბინატის ფიზკულტურის ინსტრუქტორია. კარგი მუშაობისთვის „ფიზიკური კულტურის წარჩინებულის“ სამკერდე ნიშნით გახლავთ დაჯილდოებული. დავსძენთ, რომ კომბინატის ფიზკულტურული კოლექტივი ერთ-ერთი საუკეთესოა სპორტსაზოგადოება „განთიადში“.

... ფარიკაობისა და ძალოსნობის უმაღლესი სპორტული ოსტატობის რესპუბლიკური სპეციალიზებული სკოლა. დერეფნის ორივე მხარეს ჩამწკრივებულ დარბაზებში გახურებული მუშაობაა. აქ სპორტსმენებისა და მწვრთნელების სარბიელია, სკოლის ხელმძღვანელობის პატარა ოთახში კი სიჩუმეა. ათასგვარი ბარათებით, დიაგრამებით, სქემებით, სასწავლო გეგმებითა და გრაფიკებით სავსე მაგიდაზე დახრილა სასწავლო ნაწილის გამგე იური რუხაძე. მომთხოვნმა, წესრიგისა და სიზუსტის მოყვარულმა მუშაკმა სპორტში არმიული ცხოვრების ბევრი ჩვევაც გადმოიტანა. სამამულო ომის მეორე ხარისხის ორდენი, სამკერდე ნიშანი „დიდ სამამულო ომში სიმამაცისა და გმირობისთვის“, ფრონტებზე მიღებული თხუთმეტამდე სხვადასხვა მედალი — ასეთია გადამდგარი ზემდეგის საბრძოლო არქივი (სხვათა შორის, იურის ყველაზე მეტად თავისი გვარდიული წოდება უყვარს). ომამდეც და ომის შემდეგაც იური წარმატებით გამოდიოდა მძლეოსანთა და მოცურავეთა შეჯიბრებებში, იყო სპორტსაზოგადოება „კრასნოე ზნამიას“ ცენტრალური საბჭოს ჩემპიონი.

ჩემი მეგობრების ბედზე მთელი წიგნი შეიძლებოდა დაწერილიყო. ყველაფერს ერთ პატარა საგაზეთო წერილში ვერ ჩატევ, ყველაფერს ვერ ეტყვი მკითხველს. მაგრამ რომ იცოდეთ, რა საამოა საღამოობით, შეჯიბრების შემდეგ, ტურისტულ ლაშქრობაში, თევზაობის მერე ამხანაგებში ჯდომა, ტკბილი საუბარი, გარდასულ დღეთა მოგონება.

... „განთიადის“ აფხაზეთის საბჭოს მუშაკი ვახტანგ ნიშნიანიძე ომის დროს მედესანტე მეზღვაური იყო შავ ზღვაზე. საშა ტიმოფეევმა, ბორის საგჩენკომ და ვასილი გუტნიკმა ათასობით საფრონტო კილომეტრი გაიარეს. ოთხივემ დაიმშვენა მკერდი ორდენებითა და მედლებით. ომის შემდეგ ისინი სპორტს დაუბრუნდნენ და დღემდე მის საპასუხისმგებლო უბნებზე მუშაობენ. ტიმოფეევი ფეხსაცმლის გაერთიანება „განთიადის“ ინსტრუქტორია, საგჩენკო — ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკური კომიტეტის მუშაკი, გუტნიკი ბათუმის „განთიადიდან“ ახლახან „ვოდნიკში“ გადავიდა.

გიგა დვალი აგერ უკვე ოცი წელია სარითავ-სატრიკოტაჟო კომბინატის ფიზკულტურული ორგანიზაციის (სპორტკლუბი „ფეიქარი“) თავკაცია და მისი ხელმძღვანელობით კოლექტივმა ბევრი მნიშვნელოვანი წარმატება მოიპოვა. ეს კაცი 1917 წლის 7 ნოემბერს დაიბადა და დღემდე შესანიშნავად თამამობს ფრენბურთს, მაგიდის ჩოგბურთს, 160 სანტიმეტრ სიმაღლეზე ტრაბა, სატამობრით ამხანაგების წრეში დაუღალავად ცეკვავს დედამიწის ზურგზე ცნობილ ყველა ცეკვას.

დვალის სპორტული კოლექტივი იზრდება, მტკიცდება, გამარჯვებას გამარჯვებაზე იხვეჭს და ეს გიგას დიდი დამსახურებაა. ამ ბევრის მნახველმა კაცმა წლების ქარცეცხლში სათუთად გამოატარა ყველაფერი საუკეთესო, რაც სპორტისგან ჭქონდა ნაბოძები. დასასრულს ვიტყვი, რომ გიგა დვალს მთავრობის ჯილდოები უმშვენებს მკერდს.

ამ ხალხს ყურადღებით უნდა ვაკვირდებოდეთ, უნდა ვსწავლობდეთ მათგან სპორტის სიყვარულს, თავმდაბლობას, თავგანწირვას. ეს ის ხალხია, რომელიც ვერა და ვერ შეეჩვია ზედიზედ ორ დღეს დასვენებას, რომელსაც სასწრაფოდ გასაკეთებელი საქმის გამო ბევრჯერ მიუტოვებია გაწყობილი სადილი და ვახშამი. ჩემს მეგობრებს პატივისცემა და სიყვარული მართლაც არ აკლიათ იმ კოლექტივებში, სადაც ათეული წლებია მუშაობენ.

ამთავრებ წერას ჩემს მეგობრებზე და გონების თვალით ყველას ერთად წარმოვიდგენ. მართლაც ასეა: სადაც უნდა იყვნენ, რა დაკალებასაც უნდა ასრულებდნენ, ისინი ყველანი ერთ საქმეს ემსახურებიან და ერთმანეთსაც ყველაზე მეტად სწორედ ამ საქმის სიყვარულით ჰგვანან.

გ. კოვალიოვი,
საკავშირო კატეგორიის მაჯი, სპორტკლუბ „ივერიის“ უფროსი ფიზკულტურის ინსტრუქტორი.

ფიცი პირნათლად შეასრულა

ლიდი სამამულო ომის დაწყების პირველი დღიდანვე კარლო მეგბაღიშვილი ბრძოლების ქარცეცხლში ჩაუბა. იგი ერთ-ერთი იმ მფრინავთაგანია, რომლებმაც პირველი საბჭოთა ბომბები დაუშინეს ბერლინს, კენიგსბერგსა და ტილზიტს.

კენიგსბერგის აღების დროს კარლო მეგბაღიშვილმა 15 დღის განმავლობაში 75 დარტყმა აგემა მტერს. ეს უაღრესად დიდი დატვირთვა იყო მისთვის, მაგრამ კარგი სპორტსმენის ფიზიკურმა წრთობამ თავი სწორედ აქ ირინა.

მეგბაღიშვილი აქტიურად მონაწილეობდა მოსკოვის დაცვაში.

... ერთ-ერთ უთანასწორო ბრძოლაში მისი თვითმფრინავი დაზიანდა და კარლო ჯარაშუტით დროებით იუპირებულ ბელორუსიის ტერიტორიაზე დაეშვა. პარტიზანულ რაზმში ყოფნისას დიდმა სპორტულმა გამოცდილებამ, ფიზიკურმა მომზადებამ მეკრჯერ იხსნა იგი განსაცდელისგან. მტრის ზურგში ერთ-ერთი ოპერაციის დროს რაზმს 9 მტრის შტაბი უნდა დაერბია და მიენე წამოეყვანა. პარტიზანებმა მოხსნეს გუშაგი და მტერს ჩაუსაფრდნენ. კარლო უშიშრად შეიჭრა შტაბში და მოულოდნელად პირისპირ შეეფეთა გერმანელს. იარაღის ხმარების დროც კი არ იყო და კარლომ მუშტის ერთი დარტყმით ფაშისტი იატაკზე დასცა. მან ხელთ იგდო ბევრი მნიშვნელოვანი სამხედრო საბუთი, გონებამიხდილ ტყვეს ტოტარა ჩამოაცვა და ზურგზე მოიგდო. ბანაკში მოყვანილი ტყვე აღმოჩნდა გენერალი, რომელმაც ფრიად მნიშვნელოვანი ჩვენებები მისცა პარტიზანებს ამ ფრონტზე მოქმედი გერმანული ჯარების შენაერთების შესახებ.

სამი თვის შემდეგ კარლო საყვარელ საავიაციო საქმეს დაუბრუნდა. ერთ-ერთი საბრძოლო დავალების შესრულებისას მტრის ავიაგამანადგურებელმა მისი უახლოესი მეგობრის ოთარ ჭინჭარაძის თვითმფრინავი დააზიანა. აეროდრომზე დაშვების დროს მფრინავი კარლოს თვალწინ დაიღუპა. მთელმა ბელორუსიის ფრონტმა შეიტყო კარლოს მიერ მეგობრის საფლავზე დადებული ფიცი — შური ეძია მტერზე.

კარლო მეგბაღიშვილმა განახორციელა 150-ზე მეტი საბრძოლო გაფრენა, 200-ზე მეტი გაფრენა მოიერიდა. 1949 წელს კარლო მრმა შემთხვევამ სიცოცხლეს გამოასალმა.

ლილი ლომსაძე.

* * *

სურათზე: კ. მებაღიშვილი.

სტარტზევე მწვავე თამაში

რესპუბლიკურ ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში დაწყო საქართველოს ჩემპიონატი ვაჟთა შორის. სხვადასხვა მიზეზის გამო შეჯიბრებაში ვერ ნონაწილეობენ რესპუბლიკის წამყვანი მოჭადრაკეები — დიდოსტატები ბ. გურგენიძე, ე. გუფელდი, საერთაშორისო ოსტატი რ. ჯინჯიხაშვილი, ოსტატები ა. ბოკუჩავა და ს. ჩიჩელიანი. მათს ნაცვლად გამოდიან ახალგაზრდა, პერსპექტიული მოთამაშეები რაიონებიდან

წლისყრის შემდეგ მონაწილენი სატურნირო ცხრილში ასე განლაგდნენ: 1. ოსტატობის კანდიდატი დ. გედევანიშვილი, 2. ოსტატობის კანდიდატი ბ. შაქარიანი (ორივე — თბილისი), 3. პირველთანრიგოსანი ა. ბალავაძე (რუსთავი), 4. პირველთანრიგოსანი რ. დადიანი (სოხუმი), 5. ოსტატობის კანდიდატი ნ. ჩახოიანი, 6. ოსტატი დ. ჯანოევი, 7. ოსტატი ე. უბილავა, 8. ოსტატი თ. გიორგაძე, 9. ოსტატი ა. ბუსლაევი, 10. ოსტატობის კანდიდატი ე. მიქაელიანი (ყველა — თბილისი), 11. ოსტატობის კანდიდატი ლ. კერნაჟიცკი (ბათუმი), 12. ოსტატობის კანდიდატი გ. ბიბილაშვილი (გარდაბანი), 13. ოსტატობის კანდიდატი ი. მანაშეროვი (ხაშური), 14. ოსტატობის კანდიდატი ა. რაზოვსკი (ქუთაისი), 15. ოსტატობის კანდიდატი ზ. მიქაძე (გუდაუთა), 16. ოსტატობის კანდიდატი მ. არჩვაძე (სამტრედია), 17. ოსტატობის კანდიდატი ა. ტუზოვსკი (სოხუმი), 18. ოსტატობის კანდიდატი ლ. ნეურონოვი (ბათუმი).

I ტური. გედევანიშვილი — ნეურონოვი 1:0, ბალავაძე — არჩვაძე 0:1, დადიანი — მიქაძე 1:0, უბილავა — ბიბილაშვილი 0:1, გიორგაძე — კერნაჟიცკი 1:0, ჩახოიანი — რაზოვსკი 0,5:0,5, მიქაელიანი — ბუსლაევი 0,5:0,5. შაქარიან — ტუზოვსკის პარტია გადაიდო, ხოლო ჯანოევ — მანაშეროვის შეხვედრა არ შემდგარა.

გიორგაძემ კერნაჟიცკისთან შეხვედრაში უკეთეს ენდშპილში გადაიყვანა პარტია და გაიმარჯვა კიდეც. მიქაძემ დებიუტშივე უსეირო პოზიცია მიიღო, შემდეგ თავი ვერ გაართვა წამოჭრილ სიძნელეებს და დადიანმა მეთოდურად მიიყვანა პარტია მოგებამდე. უკვე უიმედო პოზიციაში უბილავამ ვერ შეძლო საკონტროლო სვლის გაკეთება და ბიბილაშვილთან წაგება ჩაეთვალა.

II ტური. ტუზოვსკი — ბალავაძე 0:1, მიქაძე — ჩახოიანი 1:0, ნეურონოვი — მიქაელიანი 1.0, გედევანიშვილი—შაქარიანი 0,5:0,5, რაზოვსკი — ჯანოევი 0,5:0,5, არჩვაძე — დადიანი 0,5:0,5. გადაიდო პარტიები: მანაშეროვი — უბილავა, ბიბილაშვილი — გიორგაძე და კერნაჟიცკი — ბუსლაევი.

ბალავაძემ პაიკი შესწირა ტუზოვსკის და ინიციატივა ხელთ იგდო. ტუზოვსკიმ დაცვის სწორი გეგმა ვერ მონახა და გარდაუვალი შამათის ეამო დანებდა. საქართველოს შარშანდელ ჩემპიონ მიქაძისა და ჩახოიანის ჯარტიაში შავები შეცდნენ და იძულებული შეიქნენ ორ ფიგურაში ეტლი მიეღოთ. ჩემპიონმა ზუსტად გამოიყენა უპირატესობა და გაიმარჯვა. ნეურონოვმა მიტელშპილში ფიგურა შესწირა და მეტოქის მეფეზე ძლიერი იერიშის გზა მიიღო. მიქაელიანი მწვავე ციაენოტში მოხვდა, უსუსტოდ ითამაშა, მძიმე პოზიციაში ლაზიერი დაუსვა მეტოქეს და იქვე დანებდა. ბიბილაშვილ—გიორგაძის გადადებულ პარტიაში გიორგაძეს ზედმეტი პაიკი და მოგების რეალური შანსი აქვს. მოსწავლისა და მასწავლებლის — კერნაჟიცკისა და ბუსლაევის შეხვედრაში ოსტატს ზედმეტი პაიკი აქვს, ოგრამ მისი რეარიზაცია დიდ სიძნელეებთანაა დაკავშირებული. მანაშეროვ—უბილავას პარტიაში უპირატესობა შავების მხარეზეა.

ა. ბლაგიძე,
შეჯიბრების მთავარი მსაჯი, სპორტის ოსტატი, რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.

ა. ცეხანელი.

ყინულის ბოლნებზე

გაიმართა ჰოკეისტთა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი მატჩები. ცსკა ჩვეულ რანგში გამოდიოდა: მან პირველობის დამთავრებამდე მოიხვეჭა სსრ კავშირის ჩემპიონის წოდება (მეჩვიდმეტედ!) და ამჯერად წამყვანი მოთამაშეები არც კი გამოუყვანია ყინულის სარბიელზე. მიუხედავად ამისა, ცსკა-მ მაინც დაამარცხა ჩელიაბინსკის „ტრაქტორი“ — 5:3.

ლენინგრადის არმიელთა გუნდმა მოსკოვში „კრილია სოვეტოვთან“ ორი შეხვედრა გამართა. პირველ თამაშში სტუმრებმა მწვავე ბრძოლით მიაღწიეს წარმატებას (4:3), გუშინწინ კი მოსკოველთა კარში 7 უპასუხო შაიბა გაიტანეს.

ასპი აჭარა-72

● **ტოკიო**, 7 მაისი. სსრ კავშირის ფრენბურთელ ქალთა ნაკრებმა იაპონური ტურნე უხეიროდ დაიწყო — ანგარიშით 0:3 წააგო მსსკ ნეოლთა ერთგულ გუნდთან. აი, დღეს გამართული მეორე მატჩი კი გაცილებით მწვავე და საინტერესო გამოდგა. ეაიმარჯვეს სტუმრებმა — 3:2. სტმ ნაკრები იაპონიაში კიდევ ოთხ შეხვედრას გამართავს.

● **ბუდაპეშტი**, 7 მაისი. ევროპის თასი მოიგო ადგილობრივი „ვაწაშის“ ესპადრონისტთა გუნდმა, რომელმაც შინ გამართულ გადამწყვეტ მატჩში ანგარიშით 9:7 სძლია ამ სპატიო პრიზის შარშანდელ მფლობელს — მოსკოვის ცსკა-ს.

● **ლიუბლიანა**, 7 მაისი. იუგოსლავიაში სტუმრად მყოფმა საბჭოთა კალათბურთელ ვაჟთა ნაკრებმა ბელგრადიდან აქ გადმოინაცვლა. დღეს იგი კიდევ ერთხელ შეხვდა ბრაზილიის ნაკრებს. სამხრეთ ამერიკის ჩემპიონმა ამჯერად შეუპოვარი წინააღმდეგობა გაუწია მეტოქეს და მხოლოდ 3 ქულით დამარცხდა — 70:73. იუგოსლავიის პრესა საბჭოთა კალათბურთელთაგან გამოჰყოფს ს. ბელოვს, რომელმაც თავის გუნდს ყველაზე მეტი (19) ქულა შესძინა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გოგიამ ისევ საუცხოოდ ითამაშა

გუშინწინ ალმა-ათაში ადგილობრივმა „აყირათმა“ თბილისის „დინამოს“ უმასპინძლა. ბრძოლა მწვავე და საინტერესო იყო. მე-9 წუთზე მაჩაიძემ მოულოდნელი დარტყმით დაახლოებით 20 მეტრიდან ალმაათელთა კარის ზედა კუთხეში მოთავსა ბურთი. 48-ე წუთზე მასპინძლებმა კვლავ ცენტრიდან განაახლეს თამაში: გუცაევის მიწოდება კარგად გამოიყენა ყიფიანმა და ანგარიში გახდა 2:0.

კვლავ გამოიჩინა თავი თბილისელთა მეკარე გოგიამ, რომელმაც რამდენიმე ძნელი ბურთი აიღო.

დინამოელებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშეს: გოგია, ძოძუაშვილი, ჭელიძე, ხურცილავა, პეტრიაშვილი, გავაშელი, მაჩაიძე, ასათიანი, გუცაევი (ლ. ნოდია), გ. ნოდია, ყიფიანი.

დუბლიორთა მატჩშიც დინამოელებს ხვდათ წარმატება — 1:0. ბურთი გაიტანა წერეთელმა.



6 მაისს

გაიმართა მორიგი კალენდარული შეხვედრები.

რუსთავში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „მეტალურგი“ და სოხუმის „დინამო“. თამაშის დროს განუწყვეტლივ წვიმდა, მაგრამ მატჩმა მაინც დიდი ინტერესი გამოიწვია. თავდაპირველად სოხუმელებმა მასპინძელთა კართან რამდენიმე სახიფათო მომენტი შექმნეს, მაგრამ ამას შედეგი არ მოჰყოლია. თანდათან თამაში გათანაბრდა და ბოლოს ინიციატივა რუსთაველებმა იგდეს ხელთ. 25-ე წუთზე მიქაშავიძემ კუთხურიდან ლამაზი დარტყმით ანგარიში გახსნა.

მთელი მატჩის მანძილზე განსაკუთრებით აქტიურობდნენ „მეტალურგის“ ნახევარმცველები ვ. ჩიტაური, ილიადი და ბაჩიაშვილი. შესვენების შემდეგ, 55-ე წუთზე, მიქაშავიძის კარგად დამუშავებული ბურთი მიიღო ბაჩიაშვილმა, რომელმაც ანგარიში 2:0-მდე გაზარდა.

70-ე წუთზე სოხუმელმა ზარიამ ისარგებლა მასპინძელთა მცველების დაბნეულობით და ერთი გოლი გაქვითა. 4 წუთიც არ იყო გასული, რომ ბაჩიაშვილი სოხუმელთა მეკარის პირისპირ აღმოჩნდა და კიდევ ერთხელ აიღო კარი — 3:1.

რუსთაველებმა წლევანდელ გათამაშებაში პირველად გაიმარჯვეს.

რ. ბაგრიციძე.
(ჩვენი კორ.).

რუსთავი.

* * *

გორის „დილამ“ მიიღო გათამაშების ერთ-ერთი ლიდერი — მაიკოპის „დრუჟბა“. ამ მატჩში ერთადერთი გოლი 21-ე წუთზე გაიტანა გორელმა პაპიაშვილმა, რომელმაც თავის გუნდს წლევანდელ შეჯიბრებაში პირველი გამარჯვება მოუტანა.

შესვენებამდე სტუმრები ბევრს ეცადნენ თამაშში გარდატეხის შეტანას, მაგრამ ამაოდ. მართალია, შესვენების შემდეგ სტუმრებმა ხელთ იგდეს ინიციატივა, რამდენიმე სახიფათო შეტევაც განახორციელეს, მაგრამ „დილის“ მცველები მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდნენ. აღსანიშნავია ისიც, რომ მასპინძელთა მეკარე ბერიძემ რამდენიმეჯერ იხსნა კარი ამკარა გოლისგან. მატჩის დროს გადაუღებლად წვიმდა.

გ. გოზალიშვილი.
(ჩვენი კორ.).

გორი.

7 მაისს შედგა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი ტურის შეხვედრები.

„დინამო“ (კიევი) — „ტორპედო“ 0:0.

ორივე მეტოქის კარი თითოჯერ იხსნა ძელმა.

„ზარია“ — „ზენიტი“ 2:1.

ჯერ „ზენიტის“ მცველმა ლოხოვმა საკუთარ კარში ჩაჭრა ბურთი, მერე კი ვ. კუზნეცოვმა 2:0-მდე გაზარდა ანგარიში. ლენინგრადელებმა მხოლოდ ერთი გოლის გაქვითვა შეძლეს.

„სპარტაკი“ — „დინამო“ (მინსკი) 2:0.

ჯერ ლოვჩევმა გაიტანა გოლი, მერე კი 11-მეტრიანი საჯარიმოთი პაპაევმა გაზარდა ანგარიში.

„ნეფთჩი“ — „არარატი“ 1:1.

ბაქოელთა კარში კაზარიანის მიერ გატანილი გოლი სმოლნიკოვმა გაქვითა.

ასკ — ცსკა 1:2.

როსტოველები ძალიან ცუდ დღეში არიან: გათამაშების ცხრილში ბოლო ადგილი უკავიათ. ამჯერადაც ცსკა-ს ორ გოლს როსტოველმა მასლიაევმა მხოლოდ ერთით უპასუხა.

„დნეპრი“ — „დინამო“ (მოსკოვი) 1:1.

ჯერ დინამოელმა კოზლოვმა აიღო მეტოქის კარი, შემდეგ კი „დნეპრის“ მოთამაშე დენეუმა.

„კარპატი“ — „ლოკომოტივი“ 3:1.

კარპატელთაგან სამივე გოლი სავკას ეკუთვნის. მოსკოველებმა 11-მეტრიანი საჯარიმოთი გაიტანეს ბურთი.



გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 9 მაისისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ზარია“	6	5	1	0	10—2	11
„დინამო“ (თბ.)	6	4	1	1	7—1	9
„დინამო“ (კ.)	6	4	1	1	9—6	9
„ზენიტი“	6	3	2	1	11—7	8
ცსკა	6	4	0	2	8—5	8
„დნეპრი“	6	2	3	1	9—8	7
„არარატი“	5	1	3	1	8—4	5
„დინამო“ (მ.)	5	2	1	2	6—5	5
„სპარტაკი“	6	2	1	3	6—7	5
„ნეფთჩი“	6	2	1	3	4—6	5
„ლოკომოტივი“	6	1	3	2	3—5	5
„კარპატი“	6	2	0	4	7—3	4
„ყაირათი“	5	0	4	2	3—6	4
„დინამო“ (მნ.)	6	1	2	3	4—8	4
„ტორპედო“	6	1	2	3	3—11	4
ასკ	6	0	1	5	2—10	1

ᲗᲐᲡᲘ — ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲔᲑᲘᲡ

საქართველოს სპორტკომიტეტის საცურაო აუზში სამ დღეს გაგრძელდა რესპუბლიკური თასის გათამაშება წყალბურთში. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ ბათუმის „ვოდნიკი“, ქუთაისის ნაკრები და სამი კოლექტივი თბილისიდან — „დინამო“ (იუნიორები), „ბურევესტნიკი“, „სპარტაკი“.

წარმატებით გამოვიდნენ თბილისელი სტუდენტები, რომლებმაც დაამარცხეს „ვოდნიკი“ (8:2), „სპარტაკი“ (10:0), ქუთაისის ნაკრები (8:1) და ფინალში თამაშის უფლება მოიპოვეს.

ფინალში გავიდა „დინამოს“ გუნდიც.

გადამწყვეტი მატჩი საინტერესოდ წარიმართა. თავდაპირველად დინამოელები დაწინაურდნენ (2:0), მაგრამ მერე უპირატესობა ვერ შეინარჩუნეს: „ბურევესტნიკმა“ დარჩენილ დროში 6 უპასუხო გოლის გატანა შეძლო და გაიმარჯვა — 6:2.

თბილისის „ბურევესტნიკის“ გუნდს (მწვრთნელები — საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი ზ. ჩაჩავა და სპორტის ოსტატი ი. ჩხიკვაძე) თასი გადაეცა.

კ. ᲫᲘᲫᲘᲜᲘ.

* * *



ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: „ბურევესტნიკის“ მეკარე გ. მალანია ბურთს იგერიებს.

ავტორის ფოტო.

ᲕᲐᲚᲐᲚᲘ ᲨᲔᲓᲔᲒᲘᲗ

საბჭოთა კავშირის შეიარაღებულ ძალთა ნაკრები დაბრუნდა ჩეხოსლოვაკიის ქალაქ პლზენიდან, სადაც ჩატარდა ოთხი ქვეყნის (სსრ კავშირი, ჩეხოსლოვაკია, პოლონეთი და ბულგარეთი) შეიარაღებული ძალების საერთაშორისო ამხანაგური შეჯიბრება ტყვიის სროლაში ოლიმპიური პროგრამით. ამ შეჯიბრებაში დიდი წარმატებით გამოვიდა თბილისელი სპორტის ოსტატი ვ. სალუქვაძე, რომელმაც მცირეკალიბრიანი პისტოლეტით 50 მეტრზე სროლაში 566 ქულა მოაგროვა და საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის წოდება მოიპოვა.

თ. ᲚᲔᲥᲘᲨᲕᲘᲚᲘ,
სპორტის ოსტატი.

ᲓᲔᲕᲘᲡᲘᲡ ᲗᲐᲡᲖᲔ

ᲩᲐᲠᲮᲘ ᲬᲐᲚᲛᲐ ᲓᲐᲐᲢᲠᲘᲐᲚᲔᲡ

ᲭᲐᲠᲚᲘᲡᲢᲝᲜᲨᲘ გადადებული პარტიის ანალიზს მეტოქეები ხშირად მთელ ღამეს ანდომებენ და ამის შემდეგ კვლავ დაფასთან დამსხდარნი სრულიად ახალ პოზიციას მიაგნებენ ხოლმე. ჩოგბურთში შეწყვეტილი მატჩის ანალიზისთვის ასე თუ ისე გამოცდილ სპორტსმენს დიდი დრო არ სჭირდება. მან იცის, სად მოიკოჭლებდა, სად ძლიერად თამაშობდა და სად ცდებოდა. მაღალი კლასის ჩოგბურთელისთვის ძნელი არ არის მეტოქის თამაშში ხარვეზების მოძებნა, მასთან ბრძოლის ტაქტიკური გეგმის შემუშავება და შეხვედრის გამარჯვებამდე მიყვანა. და აი, ერთდღიანი შესვენების შემდეგ თბილისელთა კერპმა ა. მეტრეველმა (ამ სიტყვას თამამად ვამბობთ, რადგან მეტრეველზე ქება ცუდად არ მოქმედებს. ამ თავმდაბალ, ვაჟკაცურ სპორტსმენს არც თავი შეურცხვენია არასოდეს და არც თავისი უმრავი ქომაგი) უნგრელ ს. ბარანიისთან შეწყვეტილი მატჩი მარილაც დიდებული თამაშით ლამაზ გამარჯვებამდე მიიყვანა.

შეწყვეტილი ხელი (ალბათ გახსოვთ, ანგარიში იყო 4:3 მეტრეველის სასარგებლოდ) მან სწრაფად მოიგო — 6:4, მერე კი, რომ იტყვიან, ნეტოქეს ამოსუნთქვის საშუალება არ მისცა და ამკარად „მშრალზე დასვა“ (6.0). მეტრეველ — ბარანიის მატჩის საბოლოო შედეგია 6:3, 2:6, 6:4, 6:0.

თბილისელი ამ შეხვედრის დასკვნით ნაწილში კორტის ბატონ-პატრონი იყო. მას ყველაფერი კარგად გამოსდიოდა, შორი პოზიციიდან და ბადესთან თამაშიც, ირიბი და ჩახვეული დარტყმები, ძლიერი პირველი მოწოდებაც და მეტოქისგან მზაკვრულად დარტყმული ბურთის მიღებაც. ერთი სიტყვით, ეს იყო ისეთი მეტრეველი, როგორსაც ჩვეულებრივ იცნობენ საბჭოეთის, ევროპის თუ ავსტრალიის კორტებზე: დაუდეგარი, შემტევი, გონებამახვილი, შეურიგებელი მებრძოლი.

ბარანიისთან მეტრეველის შეხვედრის ბოლო ხელი ჰგავდა ლოგიკურ მახვილს, რომელიც, როგორც შემდეგ — წყვილთა შეხვედრაში გამოჩნდა, ერთობ მტკივნეული იყო ბარანიისთვის.

ტრადიციისამებრ, წყვილთა შეხვედრაში საბჭოთა ნაკრების ღირსებას იცავდნენ მეტრეველი და ბაქოელი ს. ლიხაჩოვი. მათი მეტოქეები იყვნენ უნგრეთის პირველი და მეორე ჩოგნები ს. ბარანიი და პ. სიოკე. მეტრეველთან შეხვედრის შემდეგ ბარანიის აღარც ილაჯი ჰქონდა და ალბათ აღარც სურვილი უშედეგოო ბრძოლისა. სამაგიეროდ, მისი თანამეწყვილე სიოკე თავგამოდებით იბრძოდა და ცდილობდა თანამემამულე აეყოლებინა, ბრძოლის ცეცხლი გადაედო მისთვის. ეს ნაწილობრივ შეძლო კიდეც, ოღონდ მას შემდეგ, რაც პირველი ორი ხელი წააგეს — 3:6, 4:6. ეს იყო მესამე პარტია, როცა საბჭოთა დუეტი ხელს აშკარად აგებდა — 1:5. გაყვეყილს გატეხილი სჯობს და უნგრელთა ამ დაწინაურებაში ჩვენი დუეტის ერთგვარად მოდუნებულმა თამაშმაც შეიტანა წვლილი. სწორედ ამ მომენტში, როცა სიოკე აწოდებდა, მეტრეველმაც და ლიხაჩოვმაც ჩარხი წაღმა დაატრიალეს: მასპინძლებმა ჯერ სიოკეს მოწოდება მოიგეს, მერე მეტრეველის, შემდეგ ბარანიის, ბოლოს კი ლიხაჩოვის მოწოდებებზე მომგებიანი ქულები აიღეს და მდგომარეობა გაათანაბრეს — 5:5.

დაიწყო ბრძოლის ახალი ეტაპი... მეტრეველმაც და ლიხაჩოვმაც ძალიან დიდი ენერგია და ძალა დახარჯეს, მაგრამ მაყურებელი კი მართლაც წარმტაცი სანახაობის მოწმე გახდა. და აი, როცა მათი მეცადინეობით ნახევარი საქმე გაკეთებული იყო, ჯერი მიდგა, თუ შეიძლება ასე ითქვას, ენდშპილზე. მატჩის ეს ნაწილი საბჭოთა დუეტმა ტაქტიკურად სწორად წარმართა და საბოლოო გამარჯვებასაც მიაღწია — 10-8.

მაშ ასე, სსრ კავშირისა და უნგრეთის ნაკრები გუნდების მატჩში დაწინაურდნენ საბჭოთა ჩოგბურთელები — 2:1.

ჯ. ᲔᲜᲣᲥᲘᲫᲔ.

ᲒᲣᲨᲘᲜ...

გაიმართა სსრ კავშირისა და უნგრეთის ჩოგბურთელთა ნაკრები გუნდების დასკვნითი შეხვედრები. როგორც მოსალოდნელი იყო, ვ. კოროტკოვი დამარცხდა ს. ბარანიისთან (2:6, 2:6, 2:6) და გუნდური შეხვედრის ანგარიში გახდა 2:2. მატჩის ბედი უნდა გადაეწყვიტა ა. მეტრეველისა და პ. სიოკეს ორთაბრძოლას. მეტრეველმა ამჯერადაც ისახელა თავი, სძლია მეტოქეს (6:3, 6:3, 6:1) და სსრ კავშირის ნაკრებს უნგრელებთან მატჩში საბოლოო გამარჯვება მოუტანა — 3:2. აღსანიშნავია, რომ გუნდური გამარჯვების თითქმის მთელი სიმძიმე მან გადაიტანა: მოიგო ერთეულთა ორი მატჩი და ს. ლიხაჩოვთან ერთად წყვილთა შეხვედრა. სამწუხაროდ, საბჭოთა კავშირში ჯერ კიდევ არ გამოჩნდა ისეთი კლასის ჩოგბურთელი, რომელიც მეტრეველს რამდენადმე მაინც გაუტოლდებოდა და დევიზის თასის გათამაშებაში მონაწილეობის სიმძიმეს მასთან გაინაწილებდა.

ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲣᲚᲘ ᲨᲐᲠᲟᲔᲑᲘ

ა. მეტრეველი (მარცხნივ), მატჩის მთავარი მსაჯი ა. შალიე (პოლონეთი) და ს. ბარანიი.

გ. ფირცხალავას ნახატები.

ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲗᲘᲡ — 6 ᲥᲣᲚᲐ

ᲕᲐᲠᲨᲐᲕᲐ, 7 მაისი. პოლონეთის ოლიმპიურმა ნაკრებმა მეორე შესარჩევ მატჩში ანგარიშით 3:0 (1:0) დაამარცხა ბულგარელი ფეხბურთელები.

ამ შეხვედრის შემდეგ პოლონელებს 6 ქულა დაუგროვდათ. ოლიმპიური ტურნირის საგზურის ბაღს ამ ჯგუფში უკანასკნელი მატჩი გადაწყვეტს, როცა ერთმანეთს ბულგარეთისა და ესპანეთის გუნდები ეთამაშებიან. ბულგარელებს ამჟამად 4 ქულა აქვთ, ესპანელებს კი არც ერთი.

ფინალი, რომელიც გამარჯვებას არ ჩამოუვარდება

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისი. სპორტის სასახლე. 6 მაისი.

თბილისი (ნაკრები) — აშშ (ნაკრები) 86:117 (38:49).

მსაჯები: ე. კაშაი (უნგრეთი), მ. ჰუჰტამიაკი (ფინეთი).

ყველაზე შედეგიანი თავდამსხმელები: თბილისის ნაკრებში — მ. ქორქია — 23 ქულა, უგრეხელიძე — 21; აშშ-ს ნაკრებში — კეისი — 28, სიუტერი — 24, სტილი — 22.

* * *

თბილისი. სპორტის სასახლე. 7 მაისი.

საქართველოს (ნაკრები) — აშშ (ნაკრები) 82:90 (44:31).

მსაჯები: ე. კაშაი, მ. ჰუჰტამიაკი.

ყველაზე შედეგიანი თავდამსხმელები: საქართველოს ნაკრებში — მ. ქორქია — 31; აშშ-ს ნაკრებში — კეისი — 23, პენდერი — 22.

კალათბურთი გასული საუკუნის 90-ან წლებში გამოიგონეს მასაჩუსეტსის შტატის ერთ-ერთ სასწავლებელში. არსებობს სხვა უფრო დაწვრილებითი ცნობებიც ამ თამაშის წარმოშობაზე, მაგრამ ჩვენს მიზანს არ შეადგენს მათი განხილვა. მთავარი ისაა, რომ ახალბედა სპორტი შედარებით მოკლე დროში მოედო მთელს სამყაროს და, როგორც უაღრესად პოპულარულმა თამაშმა, მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვაგვარი სახე მიიღო.

კალათბურთს თავისებურად თამაშობენ ევროპაში, აზიაში, ლათინური ამერიკის ქვეყნებში. კალათბურთი თავისებურად ესმით ჩრდილოეთში და ასევე თავისებურად — სამხრეთში. მაგრამ ჩვენთვის, როგორც ამ სპორტის გულშემატკივრებისთვის, საინტერესო იყო გვენახა რას წარმოადგენს კალათბურთი დედაწინა, ასე ვთქვათ, პირველწყაროში და რა კუთხით უდგებიან მას თვითონ ფუძემდებლები.

პირველი შთაბეჭდილება ასეთია: ამერიკელები ისევე ჩვეულებრივად თამაშობენ კალათბურთს, როგორც ყველგან. მაგრამ სწორედ ამ ჩვეულებრივობაში, სიმარტივეში და, თუ გნებავთ, უბრალოებაშია მისი მთავარი ძალა და ღირსება. მეტოქის კალათს ყველა უტევს, მაგრამ გააჩნია რა გზით და მეთოდით. ბრაზილიელებს, მაგალითად, ეფექტი უყვართ, ამიტომ ხშირად თავსატეხი კომბინაციებით მიიკლევენ გზას მიზნისკენ. ასეთი გზა უდავოდ ლამაზია, მაგრამ ნაკლებად ეკონომიური და რაციონალური. ამერიკელები შეტევის დროს ცდილობენ რაც შეიძლება ცოტა ენერგია დახარჯონ, რაც შეიძლება მოკლე გზა მონახონ კალათისკენ. მათ ხშირად შეუძლიათ რაიმე ეფექტური მანევრის წყალობით ზედმეტი ტაში გამოსტყუონ ტრიბუნებს, მაგრამ, ნურას უკაცრავად, სავსებით კმაყოფილი არიან იმ ორი ქულისა, მათს ყულაბაში უმარტივესი გზით რომ მოდის.

ახლა თვითონ თამაშის სტრუქტურა. აქ დინამიკა თითქმის უმაღლეს დონემდეა აყვანილი. როცა ერთი კალათში ესვრის, დანარჩენი ოთხი გამუდმებით მოძრაობს. მოძრაობა მათ ვარიანტების, მომენტების შექმნის უმრეტ შესაძლებლობას აძლევს და, აქედან გამომდინარე, შეტევის ახალ-ახალ გზებსაც უხსნის.

ერთმანეთში არ უნდა ავურიოთ მოძრაობის ეკონომიურობა და შრომისუნარიანობა. ჩვენი სტუმრები, ცდილობენ რა უმარტივესი გზები გამოძებნონ მეტოქის კალათისკენ, სრულიადაც არ ერიდებიან შავ სამუშაოს, დიდ ფიზიკურ დატვირთვას და მწვავე ბრძოლას, ვთქვათ, ფარქვეშ. აბა გაიხსენეთ თბილისის ორი მატჩი. რამდენი ქულა აიღეს ამერიკელებმა უშუალოდ საჰაერო ბრძოლებში, რა ზუსტად და შეუცდომლად აგდებენ ბურთს კალათში! მე რომ მკითხოთ, ფარქვეშ ბრძოლის ორგანიზაციაში მათ საერთოდ არ ჰყავთ ბადალი.

ჩვენი სტუმრები სროლითაც შესანიშნავად ისვრიან, კალათს ყველა პოზიციიდან მოუმზადებლად ბომბავენ. მაგრამ ასეთი რამ ჩვენც ხომ ხშირად გვინახავს. ბოლოს და ბოლოს, ზუსტი სროლა ჩვევაა, რომელსაც შესაბამისი ვარჯიშისა და გულმოდგინეების შედეგად საშუალო ნიჭის კალათბურთელიც აღწევს.

რაც შეეხება თამაშის უნაკლო ორგანიზაციას, ეს ამერიკელთა უდავო უპირატესობაა. გაიხსენეთ თუნდაც ერთი უყურადღებო პასი ან რაიმე დეფექტი უმნიშვნელო სათამაშო სიტუაციებში. ამერიკელები ბურთს უმიზეზოდ არ კარგავენ, ისევე როგორც უმიზეზოდ არ მიიღებენ პერსონალურ შენიშვნას. და თუ მსაჯი მაინც აჯარიმებს მათ, ეს ნიშნავს, რომ ამა თუ იმ მოთამაშემ ნაღდი 2 ქულა გამოჰგლეჯა მეტოქეს.

მაშ გამოდის, რომ ჩვენს მეტოქეებს ნაკლი საერთოდ არ ჰქონიათ და ობიექტურად მათი დამარცხება შეუძლებელი ყოფილა. სრულიადაც არა. სუსტი მხარე მათ, რა თქმა უნდა, აქვთ, თუნდაც იმიტომ, რომ ყველაფერი ბოლოს და ბოლოს შეფარდებითია. ჩვენ ვამბობთ, რომ ფარქვეშ ბრძოლაში ისინი შეუდარებელი არიან, მაგრამ აი, გამოჩნდა ტალანტი, რომელმაც მათს ფიზიკურ შესაძლებლობებს გადააჭარბა. მე მხედველობაში მყავს მახეილ ქორქია, რომელიც მეორე მატჩში ხშირად მარტო უმკლავდებოდა ფარზე აზვინულ სამითს ამერიკელს. ჩვენ ვამბობთ, რომ ამერიკელები ქრესტომათიულ სიზუსტით წარმართავენ შეტევებს, მაგრამ როგორც კი ჩვენმა თავდამსხმელებმა მხოლოდ მათთვის დამახასიათებელი კოსმოსური სიჩქარე ჩართეს, ამერიკელები შედრკნენ.

დიახ, ყველაფერს აქვს მეორე მხარე, ასე განსჯეთ, ამერიკელთა მაღალ ოსტატობასაც. და თუ აწყობილ მექანიზმს ბზარი შეეპარა, მხოლოდ იმიტომ, რომ მასპინძლებმა საკალათბურთო ხელოვნების რამდენიმე საკვანძო პუნქტში გადააჭარბეს კალათბურთის ფუძემდებლებს.

შეიძლებოდა თუ არა მეორე მატჩის მოგება? (პირველზე შეგნებულად არაფერს ვამბობთ, ვინაიდან იგი ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. პირველი ბრძოლა თბილისის ნაკრებმა მორალურად წააგო. მოედანზე ამ აქტის გაფორმება მოხდა მხოლოდ). ამას, ჩემი აზრით, მხოლოდ სტატისტიკისთვის აქვს მნიშვნელობა. ჩვენ მოვიგეთ ტაიმი, მეორე ნახევარსაც მთელი 17 ქულით ვიგებდით და დავმარცხდით მხოლოდ იმიტომ, რომ ბოლომდე არ გვეყო ნერვული სიმტკიცე. არა მგონია, რომ თბილისის სპორტის სასახლიდან ამ დღეს ვინმე უსიამოვნო გრძნობით წასულიყო.

მოგება შეიძლებოდა, მაგრამ წაგაგეთ. ეს მატჩის სტენოგრამაა. ჩვენთვის კი მთავარია, რომ გამარჯვება შეგვეძლო. მატჩის დამთავრების წამდეგ გათანგული და ჭარხალივით გაწითლებული ამერიკელი მწვრთნელი დიდხანს ეხვეოდა ოთარ ქორქიას. სიხარულით კოცნიდნენ ერთმანეთს ამერიკელი კალათბურთელები და ხტუნვა-ხტუნვით გარბოდნენ გასახდელისკენ. ასეთი ფინალი გამარჯვებას არაფრით ჩამოუვარდება.

ნ. გუგუშვილი.

* * *

სურათებზე: გუშინწინდელი მატჩის მომენტები.

ა. კოტორაშვილის ფოტოები.



ХОРОШ ЗАЗЕМЛИТЬ ВЕЛЕЗЕЛЕЗНУЮ ЗАЗЕМ ПУТ... 19 45

◆ **ჰამბურგი,** 8 მაისი. სსრ კავშირის ტანმოვარჯიშე ვაჟებმა აქ გამართულ ორდღიან მატჩში ანგარიშით 558,6:547,2 სძლიეს გერმანის ნაკრებს. პირად ჩათვლაში საუკეთესო იყო სსრ კავშირის აბსოლუტური ჩემპიონი, ვლადიმირელი სტუდენტი, 20 წლის ნ. ანდრიანოვი — 113,70 ქულა. II-III ადგილები სავალდებულო და ნებისმიერი პროგრამების ჯამში გაიყვეს მოსკოველმა მ. ვორონინმა და ერევნელმა ე. მიქაელიანმა — 111,60 ქულა თითოეულს. IV ადგილი დაიკავა მასპინძელმა ვ. მესინგერმა — 111,55.

◆ **შვეიც-გმეუნდი** (გფრ), 8 მაისი. აქ მამდინარეობს ტანმოვარჯიშე ქალთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც მონაწილეობენ სსრ კავშირის, კანადისა და დასავლეთ გერმანიის წარმომადგენლები. საავალდებულო პროგრამის შემდეგ დაწინაურდნენ საბჭოთა ტანმოვარჯიშეები — 186,50 ქულა. გფრ-ის გუნდს 178,15 ქულა აქვს, ხოლო კანადისას — 171,40. პირად ჩათვლაში ლიდერობს ვიტებსკელი ო. კორბუტი — 38,55 ქულა. მომდევნო ადგილებზეც მისი თანამგუნდელები არიან: ლ. ბურდა (38,10), ლ. ტურიშჩევა (37,85), ო. ვოროშილინა (37,25) და ე. საადი (36,75). 36,75 ქულა დაუგროვდა უ. შორნსაც (გფრ).

◆ **ლიუბლიანა,** 8 მაისი. სსრ კავშირის კალათბურთელ ვაჟთა ნაკრებმა აქ წარმატებით დაამთავრა საერთაშორისო შეჯიბრება — ყველა მეტოქეს სძლია და I ადგილი დაიკავა. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ იუგოსლავიის, ბრაზილიისა და სლოვენიის გუნდები.

◆ **ვარშავა,** 8 მაისი. საბჭოთა აკრობატმა ვ. ფროლოვმა ბატუტზე ხტომაში აქ გამართულ საერთაშორისო ტურნირში აჯობა ყველას. შეჯიბრებაში აგრეთვე მონაწილეობდნენ ბულგარეთის, დიდი ბრიტანეთის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიისა და შვეიცის სპორტსმენები. ფროლოვის შედეგია 19,3 ქულა. ქალთა ტურნირში მხოლოდ პოლონელები გამოვიდნენ. გაიმარჯვა ე. ხუტმა — 19,3 ქულა.

◆ **დუისბურგი** (გფრ), 8 მაისი. მოსკოვის „ტორპედოს“ წყალბურთელთა ეუნდმა დაუმარცხებლად ითამაშა აქ ჩატარებულ საერთაშორისო ტურნირში და 10 ქულით I ადგილი დაიკავა. II ადგილზეა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის ოთხგზის მფლობელი — ზაგრების „მლადოსტი“ (7 ქულა), III — სპორტკლუბი „დუისბურგი“ (5).

◆ **ამსტერდამი,** 8 მაისი. აქ დაიწყო კალათბურთელთა წინაოლიმპიური ტურნირი, რომელშიც ბულგარეთის, ჰოლანდიის, იტალიის, პოლონეთის, ესპანეთის, საფრანგეთის, შვეიცარიისა და ჩეხოსლოვაკიის ნაკრები გუნდები მონაწილეობენ. ორი საუკეთესო კოლექტივი ოლიმპიურ საგზურებს მიიღებს. პირველ მატჩებში ფრანგებმა მოუგეს პოლონელებს (83:79), ხოლო ბულგარელებმა — ჰოლანდიელებს (88:59).

◆ **ჰელსინკი,** 8 მაისი. 25 კილომეტრზე გამართულ გარბენში გაიმარჯვა ამ შეჯიბრების ერთ-ერთმა მასპინძელმა ს. ტუომინენმა — 1:15.08. მანამდე ტუომინენმა 10-კილომეტრიან მანძილზეც აჯობა ყველას.

◆ **სოფია,** 8 მაისი. მხატვრულ ტანვარჯიშში მსოფლიოს ბოლოუტურმა ჩემპიონმა მ. გიგოვამ (ბულგარეთი) საუცხოოდ ასპარეზა „უნივერსიადის“ დარბაზში გამართულ საერთაშორისო ტურნირში გაზეთ „სტუდენტსკა ტრიბუნას“ თასზე. მას ბადალი არ ჰყავდა სამივე ვარჯიშში — რგოლით, ბურთითა და სახტუნებლით ვარჯიშებში (შედეგები შესაბამისად: 19,50, 19,60 და 19,45 ქულა). შეჯიბრებაში 13 ქვეყნის (მათ შორის, სსრ კავშირის) 40 სპორტსმენი მონაწილეობდა.

◆ **კიევი,** 8 მაისი. ქარხანა „არსენალის“ კულტურის სასახლეში დაიწყო საბჭოთა კრივის ისტორიაში ყველაზე მასობრივი შეჯიბრება — საკავშირო პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს თასის პირველი გათამაშება. რინგზე 2 ათასზე მეტი მოკრივე გამოვა. გუნდები ათ ზონად არიან დაყოფილი და წრიული სისტემით იასპარეზებენ. ზონებში გამარჯვებულნი 5-5-გუნდიან ორ ქვეჯგუფს შექმნიან, რომელთაგან საუკეთესონი ოქტომბერში თასს შეეცილებიან ერთმანეთს.

◆ **ბუდაპეშტი,** 8 მაისი. საბჭოთა ესპადრონისტმა, მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა მ. რაკიტამ (მოსკოვის ოლქი) ყველას აჯობა „ჰუნგარიის“ თასზე აქ გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაში. გადამწყვეტ მატჩში მან ძლიერ უნგრელ მოფარიკაველს პ. მაროტს სძლია — 5:3. რაკიტა პირველი უცხოელია, ვინც ამ პრიზს სამჯერ დაეპატრონა.

ХОРОШ ЗАЗЕМЛИТЬ ВЕЛЕЗЕЛЕЗНУЮ ЗАЗЕМ ПУТ... 19 45

„ლელოს“ შემდეგი ნომერი გამოვა 11 მაისს.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

თბილისის სპორტულ ბაზებზე

ჭადრაკი. რესპუბლიკური ცენტრალური საჭადრაკო კლუბი. ვაჟთა რესპუბლიკური პირველობა. 9 მაისი. IV ტური. 10 მაისი. გადადებული პარტიების დამთავრება. დასაწყისი 17 ს.

ჩოგბურთი. „დინამოს“ საჩოგბურთო სტადიონი. 9-18 მაისი. სსრ კავშირის უძლიერეს ჩოგბურთელთა ტურნირი. დასაწყისი 14 ს.

თბილისის სპორტულ ბაზებზე



გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.

რედაქციის მისამართი: თბილისი 8, ლენინის ქ. № 14 (ინდექსი 380008), დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“, ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, რედაქტორის მოადგილე — 93-97-51, პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52, მასობრივ-ფიზკულტურული და მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის განყოფილებები — 93-97-55, სპორტული განყოფილება — 99-56-47, 93-97-58, ფეხბურთის განყოფილება — 99-81-71, 93-97-56, ჭადრაკის განყოფილება — 93-97-57, წერილების განყოფილება — 93-97-54, მემანქანეთა ბიურო — 93-97-59, ფოტოლაბორატორია — 93-97-58, გამომშვები — 93-93-81, კორექტორები — 93-97-49.